შპს "ბ ა თ ო +"

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ძალისში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების

პროექტი

2014 წელი

ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ

პროექტი შესრულებულია, შ.პ.ს. “ბათო +”-ის მიერ, მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ 20.02.2014 წელს გამიცხადებული № 1116 კონკურსის მონაცემების მიხედვით, **ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲝᲤ. ᲫᲐᲚᲘᲡᲨᲘ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡ** ჩასატარებლად.

დასაპროექტებელი ობიექტი წარმოადგენს სოფ. ძალისის ტერიტორიას. სოფ. ძალისში არსებული წყლის სისტემა დაზიანებულია და მოითხოვს რეაბილიტაციას..

სოფ. ძალისში ქუჩა №10 და ქუჩა №15-ის მაგისტრალური ქსელი გათვალისწინებულია განხორციელდეს პლასტმასის მილებით. მაგისტრალი ძირითადად გადის გრუნტის გზაზე, ამიტომ მრიცხველების მონტაჟის დროს გზის გადაკვეთა არ წარმოადგენს სირთულეს.

სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაციის მმაგისტრალური ქსელის მშენებმობის დამთავრების შემდეგ სამშენებლო ნორმებისა დაწესები თანახმად უნდა მოხდეს მათი გამოცდა ჟონვებზე და განხორციელდეს გარეცხვა დეზინფექცია.

სოფ. ძალისში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა შედგენილია შემდეგი ღირებულებებით:

1. სამშენებლო მასალების: მშენებლობის შემფასებელთა კავშირის სამშენებლო რესურსების ფასების (სრფ) მიხედვით, 2014 წლის I კვარტლის დონეზე
2. შრომითი დანახარჯების: მსგავს სამუშაოებზე საორიენტაციო საბაზრო ღირებულებებით (გამოკითხვის მეთოდით).
3. სატრანსპორტო ხარჯების: მასალების გადაადგილების ღირებულებით შესყიდვის ადგილიდან (ქ. თბილისი) სამშენებლო ობიექტამდე.

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია საბაზრო ურთიერთობათა პირობებში განსაზღვრავს მშენებლობის წინასწარ, სავარაუდო ღირებულებას და არ წარმოადგენს დამკვეთსა და მოიჯარადეს შორის გადახდის საშუალებას. მათ შორის ანგარიშსწორება ხდება ფაქტიური დანახარჯების მიხედვით, სათანადო დოკუმენტაციის წარდგენით.